№2589 2015 წლის 3 დეკემბერი ქ. თბილისი

„შპს „City M“-სათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 31 ივლისის №428 განკარგულებისაგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს „City M“-ის საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „შპს „City M“-სათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 31 ივლისის №428 განკარგულებისაგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს „City M“-ის საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №23

განკარგულებაში და პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „შპს „City M“-სათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 31 ივლისის №428 განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემულ უძრავ ქონებაზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა 2016 წლის პირველ ივნისამდე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისატემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და „შპს „City M“-ს შორის 2006 წლის 4 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თარიღიდან 2016 წლის პირველ ივნისამდე, არანაკლებ 16 000 000 (თექვსმეტი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება.“.

2. შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე, „შპს „City M“-სათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 31 ივლისის №428 განკარგულების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების (მათ შორის, ვალდებულებების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, შპს „City M“-მა წარადგინოს 750 000 (შვიდას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**